

5 მითი მგლოვიარე მშობლებზე

ბავშვის დაკარგვით გამოწვეული ტრავმა იმდენად დიდია, რომ ბევრ ჩვენთაგანს არც კი უნდა ამის წარმოდგენა. “იმ დროს როცა ჩემი შვილი ესლი დაბადებისათანავე გარდაიცვალა, ვგრძნობდი უდიდეს თანადგომას, სიყვარულს და ყურადღებას მეგობრებისა და ახლობლების მხრიდან. სამწუხაროდ დროის გასვლასთან ერთად თანადგომაც იკლებდა. ზოგი მეკითხებოდა კიდევ - როდის შევუდგებოდი ახალ ცხოვრებას, ახალი ენერგიით. აღარავინ აღარ ახსენებდა ჩემი შვილის სახელს. აღარავინ მეკითხებოდა როგორ ვგრძნობდი თავს. მაშინ მივხვდები რომ ბევრი მათგანი ვერ ხვდებოდა რამხელა იყო ჩემი ტკივილი და ამიტომ დახმარებაც არ შეეძლოთ.

სწორედ საუბრით შეგვიძლია დავეხმაროთ მშობლებს და გავიგოთ, თუ რას ნიშნავს დაკარგო შვილი. ჩვენ ამით მომხდარს ვერ შევცვლით, მაგრამ შევცვლით დამოკიდებულებას შვილგარდაცვლილი მშობლების მიმართ და სათანადო თანადგომას გავწევთ.

მსურს გაგიზიაროთ ცნობილი მცდარი მითები მგლოვიარე მშობლების შესახებ.

მითი #1

უმჯობესია არ ვახსენოთ ბავშვის სახელი, რადგან ამით მშობელს გარდაცვლილ შვილს შევახსენებთ და დავამწუხრებთ;

დამიჯერეთ, არავის არ ავიწყდება გარდაცვლილი შვილი. დღე არ გავა ისე, რომ მე მასზე არ ვიფიქრო, წარმოვიდგინო, როგორი იქნებოდა ის დღეს. მისი დაკარგვით მთელი ჩემი სამყარო შეირყა! ზოგჯერ მიჭირს იმის გააზრება, რომ ჩემს გარშემო ყველა აგრძელებს ცხოვრებას. პირიქით მსიამოვნებს როცა ვინმე ჩემს შვილს ან მის სახელს ახსენებს. ამით მაგრძნობინებთ, რომ ის თქვენთვისაც რაღაცას ნიშნავდა, ჩემთვის ის იყო მთელი სამყარო.

ჩვენ, ჩვენი შვილების სახელს ყოველთვის სიამოვნებით ვისმენთ. ეს განსაკუთრებული გრძნობაა!

მითი #2

მშობელთან უმჯობესია არ ვილაპარაკოთ გარდაცვლილ შვილზე, ეს არ არის მისთვის კარგი.

ნუთუ თქვენ, როცა ვინმე თქვენი ოჯახიდან ამ ქვეყანას ტოვებს, შლით მას თქვენი მეხსიერებიდან? აღარ საუბრობთ მასზე? რა თქმა უნდა, საუბრობთ და არ ივიწყებთ! ჩვენთვისაც ძალიან მნიშვნელოვანია ვილაპარაკოთ ჩვენ შვილებზე, რადგან ისინი ყოველთვის იქნებიან ჩვენი და ჩვენი ოჯახის ნაწილი. სიკვდილი ვერ წყვეტს კავშირს მშობელსა და შვილს შორის. მათი არდავიწყება და მათზე საუბარი არის გლოვის მნიშვნელოვანი და მუდმივი ნაწილი. შეუძლებელია მარტივად შეეგუო შვილის დაკარგვას და განაგრძო ჩვეულებრივად ცხოვრება, მიუხედავად იმისა რომ ისინი რეალურად ჩვენ გვერდით არ არიან. ჩვენ მათ ყოველთვის ვგრძნობთ და გვიყვარს.

მითი #3

როცა მშობლები საუბრობენ მათ დანაკარგზე და ტკივილზე, ყურადღების ცენტრში ყოფნა უნდათ.

როცა შვილგარდაცვლილი მშობელი ახსენებს მის შვილს და მასზე საუბრობს, ის არ ცდილობს თქვენი ყურადღება მიიქციოს, ის ისე საუბრობს მის გარდაცვლილ შვილზე, როგორც სხვა თავის ცოცხალ შვილზე ისაუბრებდა. ამით მხოლოდ ჩვენი სიყვარული გვინდა გამოვხატოთ. მეტსაც ვიტყვი, როცა მშობელი თავის სატკივარს შემოგჩივლებთ ან გაგანდობთ, ე.ი მას თქვენი თანადგომა სჭირდება! არ არის ადვილი მის მდგომარეობაში დახმარება ითხოვო, ასე რომ გაუწოდეთ თანადგომის ხელი და აგრძნობინეთ სიყვარული.

მითი #4

ისინი ცხოვრებაში სიამოვნებას აღარ განიცდიან.

მართალია მე ყოველთვის გულით დამაქვს დიდი ტკივილი და ჩემს ღიმილს თან ახლავს ცრემლი, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც განვიცდი ბევრ სიამოვნებას ცხოვრებაში. სევდას ყოველთვის სიხარული მოჰყვება და პირიქით. სწორედ ჩემი შვილის დაკარგვამ მიმახვედრა თუ რა დასაფასებელია სიცოცხლის ყოველი წუთი.

მითი #5

თუკი ისინი ბედნიერად გამოიყურებიან ე.ი აღარ გლოვობენ.

მე მაშინ დავამთავრებ გლოვას, როცა ჩემი შვილი აღარ მეყვარება, ეს კი არასოდეს მოხდება! უფრო მარტივად, რომ ვთქვა, არ არსებობს გლოვის ეტაპები და არც დასასრული. წლების განმავლობაში ის იცვლება, მაგრამ არასოდეს მთვრდება.....და თუ ჩვენ უკეთესად გამოვიყურებით, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ უკეთესად ვართ. არ დაგავიწყდეთ დროდადრო გვკითხოთ, თუ როგორ ვგრძნობთ თავს.

რაც უფრო მეტს ვსაუბრობთ ჩვენს დანაკარგზე, მით უფრო გვიადვილდება მასთან შეგუება. თუკი ჩვენ ყველანი შევეცდებით ცოტათი მაინც შევიცნოთ რას ნიშნავს დაკარგო შვილი. მხოლოდ ამ გზით შევძლებთ მგლოვიარე მშობლებს თანაგრძნობითა და თანადგომით სავსე გარემო შეუქმნათ.